

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი

28.02.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
(შემდგომში - საბჭო) წევრები:

ხათუნა ჩხაიძე - ს.ს. „ლომისის“ პერსონალის მართვის დირექტორი; საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე;

ლიანა ზამბახიძე - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის იურიდიული
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სხდომის მდივანი;

კახაბერ ერაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ საქართველოს ბიზნესის აკადემია „SBA“-
ს რექტორი, ეკონომიკის დოკტორი;

დავით მჭედლიშვილი - საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალი ტალღას“ დირექტორი;

ჯუმბერ გაბრიელაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი;

ალექსანდრე ეჯიბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:
ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
კონსტანტინე ჩიკორაა - ავტორიზაციის სამართველოს უფროსი;
ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამართველოს კოორდინატორი.

ავტორიზაციის მაძიებელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
წარმომადგენლები:

1. თემურ წურწუმია - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის იურისტი;
2. მაყვალა დარსანია - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის კოორდინატორი;
3. ნანა ხიზანიშვილი - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის დირექტორი;
4. აკაკი ნიშნიანიძე - შპს - აღმოსავლეთ ევროპის პროფესიული კოლეჯის
დირექტორი;
5. ლია ვაჩაძე - შპს - აღმოსავლეთ ევროპის პროფესიული კოლეჯის ხარისხის
მართვის სამსახურის წარმომადგენელი.

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

თეა ნადირაძე;

ეკა ლუაშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 16:25 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების
რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010
წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ა ჩ დ ~ 3

სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა ლიანა ზამბახიძეს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - აღმოსავლეთ ევროპის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის წარმომადგენელმა კონსტანტინე ჩოკორაიამ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ცენტრში არ იყო შემოსული დაინტერესებული პირების წერილობითი შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - აღმოსავლეთ ევროპის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

6 სენტ

1. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა თეა ნადირაძემ.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებამ წარმოადგინა ცხრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ყველა პროგრამაში არ არის გაწერილი განხორციელების ხანგრძლივობა გამოსახული სასწავლო კვირათა რაოდენობაში ან/და თვეებში, ან/და წლებში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების „პროგრამის მოცულობის“ თავში აღნიშნულია შემდეგი: „60 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 40 კრედიტი – პრაქტიკას.“ აღნიშნულით დასტურდება, რომ პრაქტიკა არ არის მიჩნეული სასწავლო კომპონენტად, რაც ერთგვარ გაუგებრობას წარმოშობს. ზოგადად, საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სწავლა/სწავლების მიზნით, თითოეული კრედიტის მოპოვება სწავლის შედეგის–ცოდნის დადასტურდება, შესაბამისად, მხოლოდ თეორიული კომპონენტი არ გახლავთ სასწავლო კომპონენტი, არამედ პრაქტიკაც სასწავლო კომპონენტია, თუ რა კომპონენტებს მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამები განსაზღვრულია შეფასების სისტემაში, სადაც ნათლად წერია, რომ სასწავლო დატვირთვა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტს.

1.2 იმ საგანმანათლებლო პროგრამებში, რომლებიც ითვალისწინებს სასწავლო და

საწარმოო პრაქტიკას, დასტურდება პროგრამის არათანმიმდევრული სტრუქტურა. მაგალითად პროგრამები: „ბუღალტერ-მოანგარიშე“, „გიდი“, „კრიმინალისტი“, მათი სასწავლო გეგმები დაყოფილია ორ ნაწილად, მეორე ნაწილში სწვა სასწავლო კურსებთან ერთად გათვალისწინებულია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა, მაშინ როდესაც საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში წინაპირობად მითითებულია თეორიული და სასწავლო პრაქტიკა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თითოეულ ნაწილში განსაზღვრული კურსები ისწავლება პარალელურად, შესაბამისად, დასტურდება, რომ საწარმოო პრაქტიკის წინაპირობები არ არის დაცული, პროგრამა არათანმიმდევრული სტრუქტურისაა და არ შესაბამება სტანდარტს, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-6 მუხლის ა) ნაწილს.

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული საწარმოო პრაქტიკის დასკვნითი გამოცდა ითვალისწინებს პრაქტიკის ანგარიშის დაცვას – „დასკვნითი გამოცდა ზეპირი ტიპისაა, სადაც პროფესიული სტუდენტი ახდენს საწარმოო პრაქტიკის შესახებ ანგარიშისა და პრაქტიკის განმავლობაში მის მიერ შესრულებული სამუშაოს

6/18/2023

პრეზენტირებას". დაწესებულების სამართლებრივი აქტი „შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი ლიდერის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი“ განსაზღვრავს დასკვნითი გამოცდის ჩატარების ერთგვაროვან წესს ყველა პროგრამისთვის, რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკის ანგარიშის დაცვას/საჯარო პრეზენტაციას. აღნიშნულიდან დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე წარადგენს პრეზენტაციას იმის შესახებ, თუ რა დავალებებს ასრულებდა საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობისას, რომელიც ამავე დროს შუალედური შეფასებებისას ფასდებოდა. დასკვნითი გამოცდის მიზანია ერთი მხრივ, პროფესიულ სტუდენტის მიერ საბოლოო ცოდნის დადასტურდება, მეორე მხრივ, შემფასებლის/შემფასებლების მიერ ამ ცოდნის შეფასება კრედიტის მინიჭების მიზნით. სასწავლო პროცესში შესრულებული სამუშაოს აღწერა და მისი პრეზენტაციის სახთ წარმოდგენა ვი არ ნიშნავს ამ პროცესში მიღებული ცოდნის დადასტურდებას. პროფესიულმა სტუდენტმა საწარმოო პრაქტიკის დასკვნით გამოცდაზე უნდა შეასრულოს პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრული პრაქტიკული დავალება, რის მიხედვითაც მისი ცოდნა შეფასდება. წარმოდგენილი პროფესიული პროგრამებით განსაზღვრული შეფასების სისტემა არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №121/ნ ბრძანების – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველ ნაწილს – „კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.....“.

1.4 „კრიმინალისტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია, მხოლოდ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა. კრიმინალისტის პროფესიის დაუფლებისათვის საჭროა შესაბამისი ლაბორატორია, ინვენტარი, სხვადასხვა სახის ნივთიერებები, ფოტო და ვიდეო გადამდები საშუალებები და სხვა, რომელთა გამოყენების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი „გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტთან“. იგი გახლავთ სასწავლო დაწესებულება ამიტომ შინაარსით, ბუნებითა და საქმიანობით კრიმინალისტიკისათვის საწარმოო გარემოს შესატყვისი არ არის, შესაბამისად, უნივერსიტეტს, რომც ჰქონდეს იმიტირებული გარემო, შესაბამისი ინვენტარი და ლაბორატორია არ ნიშნავს საწარმოო გარემოს, არამედ აღნიშნული უზრუნველყოფს მხოლოდ სასწავლო პრაქტიკას. საწარმოო პრაქტიკა უზრუნველყოფილია მხოლოდ მაშინ, როდესაც მემორანდუმი შესაბამის სფეროში მომუშავე ორგანიზაციასთან არის გაფორმებული. დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილი წერილი პროფესიულ სტუდენტთათვის პრაქტიკის გავლაზე უარის შესახებ. აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას პროფესიული სტუდენტების ქ. თბილისში გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის უზრუნველსაყოფად გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები: ფიზიკურ პირთან - ავტოტრანსპორტის მომსახურების მიზნით; სასტუმროსთან - რომლის ხარჯების დაფარვის ვალდებულება დაწესებულებას აკისრია.

1.5 პროფესიულ პროგრამებში განსაზღვრული სასწავლო კურსის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ შეფასების მეთოდოლოგია არაადეკვატურია. პრაქტიკული უნარები ფასდება ტესტირებით, მაშინ როდესაც სილაბუსის შედეგებში მითითებულია შემდეგი: ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - „კომპიუტერის მოხმარება, ოპერაციული სისტემების გამოყენება პროფესიულ საქმიანობაში, სხვადასხვა საოფისე პროგრამების (MS Windows, MS Word, MS PowerPoint, MS Excel) გამოყენება მომხმარებლის დონეზე“. გასათვალისწინებელია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №121/ნ ბრძანების – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი ნაწილი – „კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ....“ პროფესიულმა სტუდენტმა გაწერილ შედეგებს მიაღწია თუ არა არაადეკვატური შეფასების მეთოდით ვერ დადგინდება, შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის მიერ მოპოვებული კრედიტი არ იქნება საქართველოს კანონმდებლობთ გათვალისწინებული წესით მიღებული.

1.6 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „გიდი/ადგილობრივი გიდი“ 60 კრედიტის მოცულობისაა. მასში გაწერილი თეორიული და პრაქტიკის კომპონენტები შესაბამისია პროფესიული სტანდარტისა. აღნიშნული პროგრამის ცოდნასა და გაცნობიერებაში განსაზღვრულია შემდეგი სახის შედეგები: „იცის: მსოფლიო, საქართველოს და რეგიონის ისტორია; მსოფლიო, საქართველოს და რეგიონის გეოგრაფია....; შრომის კანონმდებლობა და საქმიანობას აწარმოებს შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში.“ აღნიშნული საკითხების სწავლებისათვის პროგრამით შესაბამისი საგანი არ არის განსაზღვრული და პროგრამის თანდართული სილაბუსების ლოგიკური ბმა პროგრამის ძირითად ნაწილთან არ დასტურდება:

ა) სასწავლო კურსში „ექსკურსიათმცოდნეობა“ ბოლო საკითხად გაწერილია – „შრომის კანონმდებლობა, შრომითი ხელშეკრულებები. სფეროს კანონმდებლობა, შრომის კოდექსი. ადამიანის უფლებები და მოვალეობები.“ სილაბუსით არ არის განსაზღვრული შესაბამისი ლიტერატურის არსებობა–გამოყენება, ასევე ამ საკითხების შესწავლისათვის განკუთვნილი დრო (ლექცია 1სთ; სამუშაო ჯგუფში მუშაობა 2სთ.) მცირეა სწავლის შედეგის მიღწევისათვის;

ბ) სასწავლო კურსში „საქართველოს ისტორია და ეთნოლოგია“ პირველ საკითხად განსაზღვრულია „მსოფლიოს, კავკასიის ისტორიის ზოგადი მიმოხილვა“. უნდა ვივარაუდოთ, რომ სილაბუსში აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია პროგრამაში გაწერილი შედეგის მიღწევის მიზნით, თუმცა ამავე სილაბუსის ცოდნა და გაცნობერება არ ითვალისწინებს მსოფლიო ისტორიის ცოდნას, შესაბამისად, პროგრამა არათანმიმდევრული სტრუქტურისაა, რაც იწვევს სილაბუსების შედეგების, საკითხების პროგრამის შედეგებთან შეუსაბამობასა და პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების დაუძლევლობას;

გ) სასწავლო კურსი „საქართველოს გეოგრაფია, ბუნება და ლანდშაფტი“ ითვალისწინებს მხოლოდ საქართველოს ირგვლივ გეოგრაფიულ და სხვა სახის საკითხების სწავლებას, რაც გამორიცხავს მსოფლიო გეოგრაფიის შესახებ ცოდნის გადაცემას, ეს დასტურდება აღნიშნული სილაბუსით განსაზღვრული შედეგებითაც („ცოდნა და გაცნობიერებით“) და ბუნებრივია საგნის დასახელებიდან გამომდინარე.

აღწერილი საკითხები ადასტურებს პროგრამის არათანმიმდევრულ სტრუქტურას, ავტორიზაციის სტანდარტთან შეუსაბამობას, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ „საგანმანათლებლო ბრძანების მე-6 მუხლის ა) ნაწილთან.“

1.7 დაწესებულებაში შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საერთო წესი, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში. აღნიშნული წესი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას, მიღწევის შეფასებას თეორიულ და პრაქტიკის კომპონენტის დროს. წესში განსაზღვრულია, რომ შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

„დასწრება/აქტვობას – 10 ქულა; I და II შუალედური შეფასებას 25–25 ქულა; დასკვნითი გამოცდის შეფასებას 40 ქულა...“ შუალედური გამოცდის შეფასება—სამუშაო მოიცავს ორ კომპონენტს: ტესტი (ღია/დახურული კითხვებით 15 ქულა) და პრეზენტაცია (10 ქულა)....“.

სასწავლო კურსის „საქართველოს გეოგრაფია, ბუნება და ლანდშაფტი“ შუალედური შეფასება/ტესტი მოიცავს 20 ქულას, ხოლო სასწავლო კურსის „საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ორისის“ შეფასების სისტემა არ მოცავს პრეზენტაციის შესრულებას. აღნიშნულის თანახმად, პროგრამის სილაბუსებში გაწერილი შეფასების სისტემა არ შეესაბამება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ საერთო წესს, რომლის არსებობა აზრს კარგავს, რადგან პროფესიული განათლების სპეციფიკიდან, პროფესიებიდან გამომდინარე შეუძლებელია ყველა პროგრამისათვის დადგენლი იყოს პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის საერთო წესი.

1.8 დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში პროგრამების ჩამონათვალში კვალიფიკაცია „ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღლატერ-მოანგარიშე“ არასრულად აქვს მითითებული, თუმცა შესაბამის პროგრამაში კვალიფიკაცია განსაზღვრულია პროფესიულ სტანდარტთან შესაბამისად.

1.9 დაწესებულების კატალოგი დაინტერესებულ პირთათვის ვებგვერდის მეშვეობით არ არის ხელმისაწვდომი. ამას მოწმობს თვითშეფასების კითხვარიც, რომლის დადასტურებაშიც აღნიშნულია რომ კატალოგი არსებობს დაწესებულებაში.

1.10 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ძირითად ნაწილში აღწერილი შედეგები შესაბამება პროფესიულ სტანდარტს, ხოლო სილაბუსით განსაზღვრული შედეგები (პროგრამა „გიდი“; იხ. სტანდარტი 1.1) არ შესაბამება კურიკულუმისა და პროფესიული სტანდარტის შედეგებს.

1.11 დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები. სტატუსის მოპოვების შესაძლებლობა გაწერილია საფეხურების მიხედვით, სტატუსის შეჩერების საფუძველია პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა, ხოლო სტატუსის შეწყვეტის კონკრეტული საფუძვლები (პროგრამის დასრულება, პირადი განცხადება და სხვა) ამავე დოკუმენტშია გაწერილი. მობილობის წესი ითვალისწინებს სემესტრებს შორის დირექტორის ბრძანებით მიღება—გადასვლის გამოცხადებას, თუმცა ტერმინი სემესტრული განაწილება პროგრამებში გამოყენებული არ არის. დოკუმენტში განსაზღვრულია მიღებული განათლების აღიარების წესებიც.

1.12 დაწესებულებაში შემუშავებულია დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლა-გაუქმების შემთხვევაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის მექანიზმები, ამ ნაწილში თანამშრომლობის მიზნით კოლეჯს პროფესიულ დაწესებულებებთან, რომლებიც ფუნქციონირებენ ქ. თბილისში, აქვს გაფორმებული მემორანდუმები.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით;

2.1 დაწესებულებას მე-3 სართულზე არსებული - 634 კვ. მ. ფართიდან არ აქვს გამოყენებული 107 კვ.მ. ფართი, რომელშიც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. ამასთან, ერთ-ერთი აუდიტორია, რომლის ფართი საევაკუაციო გეგმის ნახაზის მიხედვით არის 69,2 კვ.მ. სარემონტოა, აუდიტორიაში არ არის გათბობა, ელექტროენერგია და დაფა. მასში განთავსებულია, მხოლოდ, ხის ძველი მერხები - 11 ორადგილიანი და 6 ოთხადგილიანი.

ამავე სართულზე განთავსებულია დაწესებულების 6 აუდიტორია (ჯამში - 54

ორადგილიანი და 21 ოთახდგილიანი ხის მერხი), 1 ანატომიის კაბინეტი (12 ორადგილიანი მერხი), 1 სამედიცინო ოთახი/მასაჟის კაბინეტი (4 ორადგილიანი მერხი), 1 ლაბორატორიული კლასი (4 ორადგილიანი მერხი), 1 კომპიუტერული კლასი (8 კომპიუტერი). დაწესებულებას მატერიალურ-ფასულობათა და ინვენტარის აღრიცხვიანობის შურნალის თანახმად, გააჩნია 102 ორადგილიანი და 34 ოთხადგილიანი მერხი, რომელთა ნაწილი დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, დასაწყობებულია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მოქმედ აუდიტორიაში მერხები განთავსებულია მაქსიმალური სიმჭიდროვით.

კომპიუტერულ კლასში არის 8 მეორადი, მოძველებური კომპიუტერი, რომელიც შედგენილია სხვადასხვა მეორადი ნაწილის გამოყენებით - კომპიუტერის ეკრანი, პროცესორი, კლავიატურა, მაუსი და ა.შ. კომპიუტერული ტექნიკა საჭიროებს განახლებას.

ანატომიის კაბინეტი, მასაჟის კაბინეტი და ლაბორატორიული კლასი აღჭურვილია გარკვეული ინვენტარით - დანადგარებითა და მოწყობილობებით.

2.2 დაწესებულებაში არის ერთი სველი წერტილი - 3 კაბინა, რომელთაგან ერთ-ერთში ორივე მხარეს დამონტაჟებულია ხელის მოსაკიდი, სველი წერტილები საჭიროებს მოწესრიგებას, მათ შორის ჰიგიენური თვალსაზრისით.

2.3 დაწესებულებას 2013 წლის 10 აგვისტოს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ფიზიკურ პირ, ირაკლი ღარიბაშვილთან, რომელიც ხელშეკრულების თანახმად, კისრულობს „დამკვეთის“ კომპიუტერზე (სერვერზე) ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის „OpenBiblio“ გამართვის, თანამშრომელთათვის სწავლებისა და სისტემის ხელმძღვანელობის გადაცემის ვალდებულებას.

საბიბლიოთეკო სისტემა „OpenBiblio“ წარმოადგენს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პროექტს, ასოციაცია კი, არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელსაც აქვს საკუთარი ბალანსი, საბანკო ანგარიშ(ები) და შესაბამისი ატრიბუტიკა (ბეჭედი, ლოგო, ბლანკი და სხვა) და რომელიც სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის დამოუკიდებლად, საკუთარი წარმომადგენლის მეშვეობით; ფიზიკური პირის - ირაკლი ღარიბაშვილის კავშირი ან რაიმე სახის უფლებამოსილება საბიბლიოთეკო სისტემის „OpenBiblio“-სთან არ დასტურდება. კოლეჯის დირექტორის განმარტებით, ირაკლი ღარიბაშვილი იყო საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ყოფილი დირექტორი, თუმცა მისი უფლებამოსილება ხელშეკრულების დადების დროს არ დასტურდება და ბუნებრივია, ხელშეკრულებაც მასთან, როგორც ფიზიკურ პირთან არის დადებული.

2.4 საგულისხმოა, რომ გიდის მე-3 საფეხურის პროფესიული პროგრამის სასწავლო კურსში - „ექსკურსიათმცოდნეობა“ გათვალისწინებულია ისეთი საკითხების სწავლება, როგორცაა - შრომის კანონმდებლობა, შრომითი ხელშეკრულებები (...) შრომის კოდექსი, ადამიანის უფლებები და მოვალეობები. სილაბუსში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა არ მოიცავს აღნიშნულ საკითხებს, ხოლო ბიბლიოთეკაში შრომის კოდექსი, ისევ როგორც სხვა საკანონმდელო აქტები (მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, სამოქალაქო კოდექსი და ა.შ.) მოძველებულია და ითვალისწინებს 2012 წლის რეგულაციებს, რაც შრომის კანონმდებლობასთან მიმართებით, 2013 წელს განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, განსაკუთრებით რელევანტურია.

2.5 საქმისწარმოების ინსტრუქციით მოწესრიგებულია კოლეჯი „დოკუმენტბრუნვის ორგანიზაცია“, რომლის თანახმად, შემოსული დოკუმენტის „რეგისტრაციისას დოკუმენტის პირველი გვერდის მარჯვენა დაბალ კუთხეში დაესმის კოლეჯის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის შტამპი, სადაც აღინიშნება შემოსვლის

6/6 თ/წ

თარიღი და კოლეჯში დოკუმენტის რეგისტრაციის ნომერი: „საგულისხმოა, რომ შემოსული დოკუმენტები არ არის სათანადო წესით რეგისტრირებული, კერძოდ, არც ერთ დოკუმენტს არ აქვს დასმული შტამპი, ამასთან, ზოგიერთ დოკუმენტზე მითითებულია მხოლოდ შემოსვლის თარიღი, ზოგიერთზე კი - არის მითითებული არც თარიღი და არც - რეგისტრაციის ნომერი. ამასთან, შემოსული დოკუმენტების რეგისტრაციის ჟურნალის თანახმად, რეგისტრირებულია 44 კორესპონდენცია, თუმცა შემოსულ დოკუმენტებში ფიქსირდება 8 კორესპონდენცია.

2.6 დაწესებულებაში არ არის შემუშავებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

2.7 დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული წესრიგის დაცვის მექანიზმები. დაწესებულებაში არსებობს ზოგადი რეგულაცია, კერძოდ შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის დირექტორის 2013 წლის 19 სექტემბრის N03 ბრძანებით დამტკიცებულია სამეცნიერო, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება, რომელიც ჩამოთვლის აღნიშნული სამსახურის კომპეტენციებს და ერთ-ერთ ასეთ კომპეტენციად უთითებს - „კოლეჯის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოებაზე ზრუნვას“, თუმცა დოკუმენტი მსგავსი ზრუნვის მექანიზმებს არ ითვალისწინებს. დაწესებულებას ასევე, არ ჰყავს საკუთარი დაცვის სამსახური/დარაჯი (აღნიშნული ასევე არ არის გათვალისწინებული კოლეჯის საშტატო ნუსხით), დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, არსებობს ღამის დარაჯი, რომელიც მთლიანი შენობის დაცვას უზრუნველყოფს.

2.8 დაწესებულებას გააჩნია ალტერნატიული შემოსასვლელი, რომლის კიბეებზე მიმაგრებულია ხის ურთიერთდაჭედებული ფიცრები, რომლებიც დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება პანდუსებად. აღსანიშნავია, რომ დამხმარე პირის გარეშე ეტლით კიბეზე ასვლა სსსმ პროფესიული სტუდენტისათვის შეუძლებელი იქნება, ხოლო ციცაბო დახრის გამო კიბეზე ჩასვლა დამხმარის მეშვეობითაც კი - ექსტრემალური. ასევე, არსებობს სველი წერტილი, რომლის ორივე მხარეს დამონტაჟებულია ხელის მოსაკიდი, რაც ადაპტაციის ერთადერთი ელემენტია. საგულისხმოა, რომ სივიწროვის გამო, ეტლის შემობრუნება შეზღუდულია.

2.9 ვებგვერდზე არ მოქმედებს შემდეგი განყოფილებები: „სიახლეები“, „პროექტები“ და „გაღერეა“. ამასთან, განყოფილება „პროგრამები“ მოიცავს ორ ნაწილს - „საგანმანათლებლო ცარიელია, ხოლო „საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის“ ნაწილში მითითებულია, რომ „წვდომა აკრძალულია“. შესაბამისად, ვებგვერდი ვერ ასრულებს საინფორმაციო ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესის დაცვის უზრუნველყოფა.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერში პროფესიულ მასწავლებლად მიღების წესი განისაზღვრება კოლეჯის დებულების 26-ე - 35-ე მუხლების საფუძველზე. დებულებით განსაზღვრული წესით კოლეჯის დირექტორის 2013 წლის 19 სექტემბრის N15 ბრძანებით გამოცხადდა პროფესიული პედაგოგების შესარჩევი კონკურსი, რომლის შედეგად არჩეულ იქნა 32 პედაგოგი, რომლებთანაც იმავე წლის 23 სექტემბრის N16 ბრძანების საფუძველზე გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები. კონკურსის პირობებში ბრძანების მე-2 მუხლით კონკურსანტისადმი წაყენებულ ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს უმაღლესი განათლების შესაბამის სპეციალობაში ან სპეციალობით/მასწავლებლად მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი

გამოცდილება. დანიშნულ მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად, დადგინდა შემდეგი:

ა) თეიმურაზ მურადელს, რომელიც კითხულობს საინფორმაციო ტექნოლოგიების, კომპიუტერული გრაფიკისა და საოფისე მომსახურების სასწავლო კურსებს, აქვს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი საბუღალტრო აღრიცხვასა და სამეცნიერო ანალიზში, ასევე მინიჭებული აქვს იურისტის კვალიფიკაცია (დიპლომი), ხოლო რომელიც არ ადასტურებს უმაღლეს განათლებას. ამასთან, ცნობა, რომელიც თ. მურადელს წარმოდეგენილი აქვს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტიდან, ადასტურებს მხოლოდ მის 2 წლიან სამუშაო გამოცდილებას (2010-2012 წლებში).

ბ) საგანმანათლებლო პროგრამებში „ექთნის თანაშემწე“ და „პრაქტიკოსი ექთანი“ ნინო გოფოძე ასწავლის სასწავლო კურსებს „პაციენტის მოვლა, პალიატიური მზრუნველობა“, „ნევროლოგიური პაციენტის მოვლა“, „თერაპიული და ქირურგიული პაციენტის მოვლა“, „ავადმყოფის სპეციალური მოვლა გერიატრიის საფუძვლებით“. ნინო გოფოძეს აქვს ექიმის პავალიფიკაცია და არ აქვს ექთნად მუშაობის სამუშაო გამოცდილება მაშინ, როდესაც პროფესიული პროგრამით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად პროგრამაში ჩართული უნდა იყვნენ მხოლოდ ექთნის კვალიფიკაციის ან შესაბამისი კომპეტენციის (აღნიშნული შესაძლებელია დადასტურდეს, მაგ.: სამუშაო გამოცდილებით) მქონე პროფესიული მასწავლებლები.

3.2 კოლეჯში შრომითი ურთიერთობები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2013 წლის 19 სექტემბრის N04 ბრძანების მე-2 დანართით, რომლითაც დამტკიცებულია შრომის შინაგანაწესი და დასაქმებულებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით. აღსანიშნავია, რომ შრომის შენაგანაწესის 8.2 პუნქტის თანახმად, დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 41 საათს. აღნიშნული რეგულაცია მოძველებულია, ვინაიდან მოქმედი შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების (შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-9 ნაწილი) ნაწილი ასახულია შრომით ხელშეკრულებაში, ნაწილი კი - შრომის შინაგანაწესში, თუმცა ისეთი არსებითი პირობა, როგორიცაა ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი არც აღსაძლებელია არ ფიქსირდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების იურისტის, თემურ წურწუმიას განცხადებით, დაწესებულებას ერთხელ უკვე ეთქვა უარი ავტორიზაციის მინიჭებაზე, რადგან ერთ-ერთი მიზეზი შეფასების სისტემაში არსებული ხარვეზები იყო. მისი განცხადებით, დაწესებულებამ შეიტანა ცვლილება დოკუმენტაციაში და მათ ახალი რეგულაციები ჰქონდათ, ხოლო ექსპერტებმა შეამოწმეს ისევ ძველი რეგულაცია. მან დასძინა, რომ ექსპერტებს რომ მოეთხოვათ ახალი რეგულაცია, ისინი მიაწვდინდნენ მას. ექსპერტებისათვის გადაცემული იქნა ე.წ. ბაინდერი, სადაც განთავსებული იყო ყველა მოქმედი რეგულაცია, მათ შორის, ზემოაღნიშნული ცვლილების ამსახველი დოკუმენტაციაც.

618 ა/

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ახალი რეგულაციის მიხედვით, შეფასების თავისებურებები განსაზღვრული იყო თავად სილაბუსებში. თუ აღნიშნული დოკუმენტაციით იხელმძღვანელებდა ექსპერტი, შენიშვნაც არ იქნებოდა. აღნიშნული დოკუმენტი არ იყო ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ შექმნილი, არამედ 2013 წლის 25 ნოემბერს.

ექსპერტის, თეა ნადირაძის განცხადებით, რეგულაციები, რომელიც აღწერილია დასკვნაში იყო ოფიციალურად დანართებად წამოღებული დაწესებულებიდან. მისთვის უცნაური იყო, თუ რატომ ატანდა დაწესებულება დანართად ექსპერტებს იმ დოკუმენტაციას, რომელიც ძალადაკარგული იყო. ამასთან, დანართად წარმოღებული დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი, რომელიც გადაეცათ ექსპერტებს დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, სადაც ზემოაღნიშნული დოკუმენტი არ ფიქსირდებოდა. მისი განცხადებით, ექსპერტებმა იხელმძღვანელს იმ დროისთვის არსებული დოკუმენტაციით და მათ არ ჰქონდათ ვალდებულება ეკვლიათ, შეიტანა თუ არა ცვლილება დაწესებულებამ მის რომელიმე დოკუმენტში. აღნიშნული პროფესიული დაწესებულების ინტერესში უნდა ყოფილიყო.

საბჭოს წევრი, კახაბერ ერაძე დაინტერესდა იყო თუ არა პროგრამა დანართად წამოღებული და შეცვლილი შეფასების წესი ასახული იყო თუ არა მასში.

პროგრამაში იყო შეცვლილი წესის შესაბამისი მითითება, თუმცა თეა ნადირაძის განცხადებით, საერთო წესი, რომელიც მოქმედებდა დაწესებულებაში და გადაეცა ექსპერტებს განსხვავდებოდა პროგრამაში მითითებული წესისაგან.

სხდომის თავმჯდომარის განცხადებით, უპირატესობა უნდა მინიჭებოდა შეცვლილ წესს, თუმცა დაწესებულების განმარტება, რომ ექსპერტებს არ მოუთხოვიათ ახალი წესი, უცნაური იყო.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებასთან დაკავშირებით იყო ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, მისი განცხადებით, სასწავლო კომპონენტი ეწერა თეორიული კომპონენტის ნაცვლად. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო, რომ პროგრამიდან ჩანდა მოცულობა.

კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ შენიშვნაში საუბარი იყო არა მოცულობაზე, არამედ - ხანგრძლივობაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სილაბუსები გაწერილი იყო კვირების მიხედვით, მათ გააჩნდათ წინაპირობები, რაც დათვლის საშუალებას იძლეოდა, თუმცა მისი განცხადებით, დაწესებულებისათვის მისაღები იყო ეს მითითება.

თეა ნადირაძის განცხადებით, თავად პროგრამით ვერ დასტურდებოდა, თუ როგორ ხორციელდებოდა პროგრამა. მაშინ, როდესაც წინაპირობები შეცდომით იყო მითითებული, ძნელი იყო დაწესებულების წარმომადგენელს დათანხმებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ცხრილის მიხედვით წინაპირობები იყო თანმიმდევრული და სასწავლო პრაქტიკა მოყვებოდა იმ დისციპლინას, რომლის პრაქტიკაც უნდა გაევლო სტუდენტს. მისი განცხადებით, მათ შეეძლოთ დამატებითი ცხრილის წარდგენა, თუმცა რადგან სტუდენტები არ ჰყავდათ, ამიტომ არ იქნა შემუშავებული ეს უკანასკენლი.

თეა ნადირაძის განცხადებით კითხვაზე, თუ როგორ არის დაგეგმილი სწავლება, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწავლება მიმდინარეობს პარალელურ რეჟიმში. დაწესებულების წარმომადგენელი ამბობს, რომ პრაქტიკა დისციპლინას მოსდევს,

6/16/2023

და ეს წინა განმარტებასაც ეწინააღმდეგებოდა, რადგან აღნიშნული დოკუმენტაციიდან არ სჩანდა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, პარალელურად სწავლებაში რას გულისხმობდა დაწესებულება.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პარალელურად სწავლებაში ეკონომიკის, ბუღალტერიის საფუძვლებისა და პრაქტიკის ერთ ცხრილში მოქცევას გულისხმობდა და რადგან ამათ არ ჰქონდათ წინაპირობები, შეიძლებოდა პარალელურად მომდარიყო სწავლება, ერთად დაიწყებოდა და ერთად დამთავრდებოდა.

თეა ნადირაძის განცხადებით, პროგრამა ორ ნაწილად იყოფოდა, 3-3- თვედ. იყო ერთი ვარიანტი, რომ სწავლება ერთდროულად იწყებოდა და ერთდროულად სრულდებოდა ან მეორე - მაგალითად, 2 საგანი ისწავლებოდა და შემდეგ - 3, ეს არ ჩანდა პროგრამიდან. მისი განცხადებით, თუ ეს უკანასკნელი არ ჩანდა, გამოდიოდა, რომ 5 საგანი ერთდროულად ისწავლებოდა და თუ ერთი საგნის წინაპირობად მითითებულია მეორე საგანი და ეს წინაპირობა შედის ერთდროულად გასავლელ 5 საგანში, მაშინ გამოდიოდა, რომ პროგრამა იყო არათანმიმდევრული.

ჯუმბერ გაბრიელაშვილის განცხადებით, საბჭოს წევრები იცნობდნენ საქმის მასალებს. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შენიშვნები დასკვნასთან დაკავშირებით, რადგან მისი განცხადებით, მატერიალურ რესურსში არსებული შენიშვნების სიმძიმის პარალელურად, პროგრამზე საუბარი აღარ უნდა ყოფილიყო.

კახაბერ ერაძის განცხადებით, შენიშვნების რაოდენობა არ არის ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველი, არამედ - შენიშვნების შინაარსი.

თეა ნადირაძის განცხადებით, ექსპერტებმა აღწერეს ფაქტობრივი მდგომარეობა, დანარჩენი იყო საბჭოს შესაფასებელი.

1.5 პუნქტთან დაკავშირებით, საბჭოს წევრი დაინტერესდა, მხოლოდ კრიმინალისტიკაზე იყო თუ არა საუბარი, რაზეც ექსპერტმა განაცხადა, რომ წესი იყო ზოგადი და არა რომელიმე კონკრეტულ პროგრამაზე.

თემურ წურწუმიას განცხადებით, დაწესებულებას პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, ჰქონდა გაფრომებული მემორანდუმები. მიუხედავად იმისა, რომ მემორანდუმის მეორე ხელმომწერი დაწესებულება ქალაქ თბილისში მდებარეობდა, ისინი ვერანაირ პრობლემას ხედავდნენ. მისი განცხადებით, უამრავი სტუდენტი დადიოდა თბილისსა და გორს შორის.

ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით, თემურ წურწუმიამ განაცხადა, რომ ირაკლი ლარიბაშვილი იყო საბიბლიოთეკო ასოციაციის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი, შესაბამისად, კავშირი ასოციაციასთან დასტურდება. მან საბჭოს წარუდგინა ამონაწერი, რითაც ზემოაღნიშნული დაადასტურა. ამასთან, მან განაცხადა, რომ დაწესებულებაში იყო ინტერნეტი და სტუდენტს კანონმდებლობა შეეძლო მოეძია იმ ვებგვერდების მეშვეობით, სადაც ხელმისაწვდომი იყო ისინი.

საქმისწარმოების წესთან დაკავშირებით, თემურ წურწუმიამ განაცხადა, რომ იმავე წესს ჰქონდა გარდამავალი დებულებები, სადაც ეწერა, რომ შტამპის დასმა მოხდებოდა, მხოლოდ, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში.

საბჭოს წევრი, ალექსანდრე ეჯიბაძე დაინტერესდა, რატომ ინახა მხოლოდ 8 კორესპონდენცია.

თემურ წურწუმიას განცხადებით, ეს რაოდენობა ეხებოდა შემოსულ კორესპონდენციას. ამასთან, კონკურსის ჩატარებისას შემოდიოდა განაცხადებები და ითხოვდნენ კონკურსში

მონაწილეობის მიღებას, რაც ინახებოდა პირად საქმეში და ამიტომ დაფიქსირდა დარეგისტრირებულსა და ფაქტობრივ რაოდენობას შორის სხვაობა.

თეა ნადირაძის განცხადებით, ეს ნიუანსები ჯამში საერთო სურათს ჰქმნის. დაწესებულების კატალოგი არ არის ხელმისაწვდომი მის ვებგვერდზე, რაც იმას ნიშნავს, რომ აქვს გაზრებული კატალოგის მნიშვნელობა. დაწესებულებას მითითებული აქვს, რომ რაღაცებს ავტორიზაციის მინიჭების შემდგომ განახორციელებს, რაც მიგვანიშნებს, რომ თითოეული ქმედების კავშირს და მნიშვნელობას ვერ აცნობიერებს იგი.

თემურ წურწუმიას განცხადებით, აბიტურიენტებთან დაკავშირებით, ისინი ვერ განათავსებდნენ ინფორმაციას, რადგან როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს მოიპოვებენ, შემდგომ მიაწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას. ვებგვერდთან დაკავშირებით, მან განაცხადა, ვიზიტის დროს ცუდი ამინდი დაემთხვა, ინტერნეტი გაითიშა და იმ დღეს ვერ მოხერხდა კატალოგზე წვდომა.

თეა ნადირაძის განცხადებით, ინტერნეტი იყო, ვებგვერდზეც შევიდნენ, თუმცა კატალოგი არ იხსნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ ესმოდათ თუ რა იყო კატალოგი.

თეა ნადირაძის განცხადებით, ამობეჭდილი და დოკუმენტებში შენახული კატალოგი იავის ფუნქციას ვერასოდეს შეასრულებდა.

სველ წერტილთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს გადასცა ფოტომასალა და განაცხადა, რომ შენობის ნაწილი იყო სარემონტო, ხოლო ნაწილი -- მოწესრიგებული.

ჯუმბერ გაბრიელაშვილის განცხადებით, გარემონტებული ფართი იყო დაახლოებით 400 კვ.მ. და რატომ ჩათვალა დაწესებულებამ, რომ აღნიშნული ფართი საკმარისი იქნებოდა 9 პროგრამის განსახორციელებდად.

საბჭოს წევრი, ლიანა ზამბახიძე დაინტერესდა, სველი წერტილი იყო თუ არა ერთი, 3 კაბინით და ვაჟები და ქალები ერთი სველი წერტილით ისარგებლებდნენ თუ არა.

ექსპერტის განცხადებით, იყო მხოლოდ ერთი სველი წერტილი და ფაქტობრივი მდგომარეობა გულისხმობდა იმას, რომ მათ ერთი სველი წერტილით სარგებლობა მოუწევდათ.

ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, თემურ წურწუმიამ განაცხადა, რომ იყო რაღაც ნაწილზე პრობლემა, თუმცა მათ სერტიფიკატები უმყარებდა ცოდნასა და კვალიფიკაციას. მისი განცხადებით, ნინო გოფომე კითხულობდა თეორიულ ნაწილს, ამდენად, პრობლემა არ უნდა ყოფილიყო.

ექსპერტის, თეა ნადირაძის, განცხადებით, მისთვის მიუღებელი იყო პაციენტის მოვლა, როგორც საგანი თეორიულ კომპონენტში რას გულისხმობდა. პაციენტის მოვლა უნდა ასწავლოს პრაქტიკოსმა, რომელმაც იცის არა თეორიულად თუ როგორ ხდება მოვლა, არამედ ეს უნდა ისწავლებოდეს უშუალო ჩართულობით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მისთვის გაუგებარი იყო ექიმს რატომ არ ჰქონდა პაციენტის მოვლის სწავლების უფლება.

თეა ნადირაძის განცხადებით, ექიმის არ ჰქონდა არანაირი შეხება პაციენტის მოვლასთან დაკავშირებით. ექიმი არის უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაცია, ხოლო ექთანი - პროფესიული განათლების. მათ განსხვავებული ცოდნა და უნარები გააჩნიათ. პაციენტის მოვლის კომპეტენციას ფლობს მხოლოდ ექთანი და არა ექიმი. მისი განცხადებით, აღნიშნული საგანი არ იყო თეორიული კურსი.

ზეგანაკვეთურ სამუშაოსთან დაკავშირებით, თემურ წურწუმიამ განაცხადა, რომ იყო ტექნიკური ხარვეზი და 41 საათის ნაცვლად უნდა ყოფილიყო 40 საათი.

რობაქიძის უნივერსიტეტის ლაბორატორიაში პრაქტიკული კომპონენტის გატარებასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, თუ რა სიხშირით უნდა ევლოთ სტუდენტებს თბილისში, იყო თუ არა ცხრილი შედგენილი და რამდენ სტუდენტზე იყო გათვლა გაკეთებული.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამის მოთხოვნის სიხშირით მიხდებოდა სტუდენტების პრაქტიკაზე გაგზავნა.

საბჭოს წევრები ჩაეკითხნენ, ზუსტად, რამდენ საათს, რამდენ კრედიტს ითვალისწინებდა ზემოაღნიშნული.

თეა ნადრიაძის განცხადებით, საწარმოო პრაქტიკა იყო 10-კრედიტიანი, ხოლო სასწავლო პრაქტიკა - 14 კრედიტიანი. დროში გაწერილი და დაგეგმილი არ იყო და სწორედ ეს იყო მისი ერთ-ერთი შენიშვნის არსი.

ალექსანდრე ეჯიბაძის განცხადებით, რობაქიძის უნივერსიტეტთან იყო გაფორმებული უამრავი ხელშეკრულება სხვადასხვა დაწესებულებების მიერ. რადგან დღე-ღამეში მხოლოდ 24 საათი იყო და ამ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელი იყო საბჭოს დარწმუნება კონკრეტული ცხრილის წარდგენის გზით.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერს (საიდენტიფიკაციო კოდი: 417880092) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

შესვენება გამოცხადდა 17:38 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა - 17:45საათზე.

6/18-1/

2. შპს - აღმოსავლეთ ევროპის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაურთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ამ ჯგუფის წარმომადგენელმა ეკა ლუაშვილმა.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდეგნილი არც ერთი სამართლებრივი აქტით არ არის განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ან/და შეცვლისა და გაუქმების პროცედურები. (არსებობს, მხოლოდ ჩანაწერი პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში როგორ მოხდება პროფესიული სტუდენტების შემდგომი სწავლებით უზრუნველყოფა, თუმცა არაფერია ნათქვამი თავად პროგრამის შემუშავებასთან, შეცვლასთან ან გაუქმებასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებზე).

წარმოდგენილი იქნა მესამე საფეხურის ორი პროგრამა: 1. სასტუმრო საქმის მწარმოებლისა და 2. კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის. პროგრამები დამტკიცებულია დირექტორის 2013 წლის 04 სექტემბრის ბრძანებით. ორივე პროგრამის პირველ გვერდზე არის დაწესებულების ბეჭედი და დირექტორის ხელმოწერა და ხელით შესრულებული მინაწერი.

აღსანიშნავია შემდეგი:

1.1. სასტუმრო საქმის მწარმოებლის პროფესიული განათლების მესამე საფეხურის პროგრამა:

1.2. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (60% სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა და 40 % თეორიული სწავლება). პროგრამაში არ არის განსაზღვრული ერთი კრედიტი რამდენი ასტრონომიული საათის ტოლია, მითითებულია პროგრამის მთლიანი მოცულობა საათებში (1500 საათი).

1.3. სწავლის შედეგების რუკა:

პროგრამის განხორციელება დაგეგმილია შემდეგი სასწავლო კურსებით:

1. ტურიზმის საფუძვლები;

2. სასტუმროს ადმინისტრირების საფუძვლები;

3. ჰელსქიმიკური საფუძვლები;

4. კვებისა და სასმელების სერვისი;

5. სასტუმროს მიღება -განთავსებისა და დაჯავშნის სამსახური;

6. მართლწერა და მეტყველების კულტურა;

6/12/2023

7. საინფორმაციო ტექნოლოგია;
8. ინგლისური;
9. რუსული;
10. საწარმოო პრაქტიკა.

აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები არ შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს [ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „გ“ პუნქტი (ასე მაგალითად, სწავლის შედეგების რუკის მიხედვით, საწარმოო პრაქტიკის სწავლის შედეგს წარმოადგენს მხოლოდ კომუნიკაციის უნარის განვითარება; საინფორმაციო ტექნოლოგია მხოლოდ ღირებულებების უნარს; სასტუმროს ადმინისტრირების საფუძვლები - ცოდნა და გაცნობიერების, დასკვნის გავრცელების და სწავლის უნარს და არა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს და ა.შ.), რომ არაფერი ვთქვათ თავად აღნიშნული სასწავლო კურსების მეშვეობით პროგრამითა და შესაბამისი სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობაზე.

1.4. სასწავლო გეგმა:

წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო გეგმის თანახმად, საწარმოო პრაქტიკის მოცულობა 15 კრედიტია, ხოლო სასწავლო პარქტიკა ცალკე კომპონენტად არ არის გამოყოფილი, დანარჩენ სასწავლო კურსებს საკონტაქტო საათებში ერთ-ერთ კომპონენტად აქვს მითითებული სასწავლო პრაქტიკა (ასე მაგალითად სასწავლო კურსი: მართლწერა და მეტყველება - კრედიტების რაოდენობა - 2; ლექცია/პრაქტიკული - 10 სთ; კვირეული დატვირთვა (4 თვე) - 2 სთ; სასწავლო პრაქტიკა -22 საათი შუალედური/დასკვნითი - 3 სთ; დამოუკიდებელი მუშაობის -15 სთ, საათების ამგვარი გადანაწილებით არის წარმოდგენილი თეორიული სასწავლო კურსი

აღნიშნული არ შეესაბამება ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის „ა“ პუნქტს, ასევე, შესაბამის პროფესიულ სტანდარტს, რომლის თანახმადაც 60 კრედიტიდან მინიმუმ 60%/36 კრედიტი უნდა ეთმობოდეს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას, წარმოდგენილი პროგრამით საწარმოო პრაქტიკა განსაზღვრულია 15 კრედიტის მოცულობით.

1.5. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა:

პროგრამაში მითითებულია, რომ „პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა მოიცავს, როგორც ლექციაზე დასწრებას და ჯგუფში მუშაობას, ასევე, ლაბორატორიულ მუცადინეობას და საწარმოო პრაქტიკას, რომელსაც სტუდენტები გაივლიან სასტუმროში.“ აღნიშნული ჩანაწერი არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №121/ნ ბრძანებას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „2. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

1.6. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება:

წარმოდგენილ პროგრამაში გამოყენებულია ტერმინი პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება ნაცვლად პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასებისა. ეს დეფინიცია არის გამოყენებული 121/ნ ბრძანებაში, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ფასდება პროფესიული სტუდენტის არამხოლოდ ცოდნა, არამედ - უნარ-ჩვევები და ქცევა, რომელიც ერთობლიობაში წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევებს, შესაბამისად,

აღნიშნული ჩანაწერი შეუსაბამოა 121/6 ბრძანების შინაარსთან. გარდა ამისა, აღნიშნული დასახელების პარაგრაფის ქვეშ მოცემული ტექსტის შინაარსი ბუნდოვანია (ციტირება: ადგიკატურია პროფესიული სტუდენტის კრედიტების გაანგარიშების წესში მითითებული შეფასების სისტემის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.)

1.7. სწავლების მეთოდები:

წარმოდგენილ პროგრამაში სწავლების მეთოდებად განსაზღვრულია:

თეორიული სწავლება, პრაქტიკული მეცანიერება, ლაბორატორიული სამუშაო, სასწავლო პრაქტიკა, საწარმოო პრაქტიკა. თითოეული მათგანი წარმოადგენს სწავლების განხორციელების კომპონენტებს და არა სწავლების მეთოდებს. სწავლის შედეგების მიზნით სწავლების მეთოდად შეიძლება გამოყენებულ იქნას მაგ: დისკუსია-დებატები, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირების მეთოდი და ასე შემდეგ. შესაბამისად, სწავლების მეთოდები არ არის ლოგიკურად გააზრებული და განსაზღვრული პროგრამაში, შედეგად სახეზეა ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევა, კერძოდ, მე-6 მუხლის „ა“ პუნქტი.

1.8. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამინისტრი რესურსების შესახებ:

აღნიშნული დასახელების ქვეშ არ არის ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ, ჩამოთვლილია მხოლოდ სასწავლო კურსები, თუმცა არ არის მითითებული აღნიშნული სასწავლო კურსების განმახორციელებელთა სახელი და გვარი. ასევე, არც პროგრამაში და არც სხვა აქტით არ დგინდება პროგრამის ხელმძღვანელის ვინაობა. გამომდინარე აქედან პროგრამის მოთხოვნების და მისი განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესაბამისობის დადგენა ვერ ხერხდება.

1.9. პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები:

ვიზიტის პირველ დღეს, დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ პროგრამები წარმოდგენილი იქნა არასრული სახით (უმეტესი სასწავლო კურსები სილაბუსების გარეშე). დაწესებულების წარმომადგენლებს ექსპერტთა მიერ განემარტათ, რომ პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები პროგრამის განუყოფელი ნაწილია, შესაბამისად, მათი წარმოდგენა სავალდებულო იყო, რათა მომხდარიყო პროგრამის შეფასება ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. დაწესებულების დირექტორის განმარტებით, არსებული სილაბუსები მოითხოვდა დახვეწას, ამიტომ გადაცემული ჰქონდა პროფესიულ მასწავლებლებზე შესასწორებლად და დღის განმავლობაში წარმოდგენილი იქნებოდა. დღის ბოლომდე ლიანა მარტაშვილის (დაწესებულების პედაგოგი) მიერ წარმოდგენილი იქნა ოთხი დასახელების დოკუმენტი, რომელიც, მისი განმარტებით, წარმოადგენდა ერთ-ერთი პროგრამის (სასტუმრო საქმის მწარმოებლის) სილაბუსებს. დოკუმენტების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ ოთხიდან ერთი მათგანი საერთოდ არ იყო კავშირში არსებულ პროგრამასთან, ხოლო დანარჩენი სამი (1. მართლწერა, 2. მეტყველება, 3. სტუმარ-მასპინძლობა) არ აკმაყოფილებდა სილაბუსის შინაარსის სავალდებულო მოთხოვნებს. ასე მაგალითად, პროგრამაში სასწავლო კურსი წარმოდგენილი იყო შემდეგი დასახელებით: მართლწერა და მეტყველების კულტურა - 2 კრედიტის მოცულობით, წარმოდგენილ დოკუმენტებში ცალ-ცალკე იქნა მართლწერისა და მეტყველების კულტურის სილაბუსი წარმოდგენილი, გარდა იმისა, რომ არასწორად იყო პროგრამაში სასწავლო კურსი გაყოფილი, არც ერთ მათგანში არ იყო მითითებული სასწავლო კურსის მოცულობა კრედიტებში, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა, მირითადი და დამხმარე ლიტერატურა.

წარმოდგენილ სილაბუსში მეტყველების კულტურა - კურსის ხანგრძლივობაში მითითებულია, რომ ისწავლება ორი სემესტრი, 8 თვე, კვირაში 2 საათი, სულ 64 საათი. აღსანიშნავია, რომ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსი მართლწერა და მეტყველების კულტურა - არის 2 კრედიტიანი (50 საათი) და ისწავლება, მხოლოდ, პირველ სემესტრში. გარდა ამისა, მეტყველების კულტურის სილაბუსში მითითებულია, რომ სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს სწორად წერის კულტურა, რაც შეუსაბამოა მისი შინაარსიდან გამომდინარე.

უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსების წარმომდგენ პედაგოგს (ლიანა მარტაშვილს) ექსპერტებმა განუმარტეს, რომ წარმოდგენილი სილაბუსების სტრუქტურა არ შეიცავდა სავალდებულო რეკვიზიტებს და მისი შინაარსი შეუსაბამო იყო პროფესიული სტანდარტისა და პროგრამის მოთხოვნებთან, ამიტომ აუცილებელი იყო სილაბუსების სრულყოფილად წარმოდგენა, როგორც რაოდენობრივად, ასევე შინაარსობრივად. და მას ჰქონდა უფლება ექსპერტები შეფასებისას იხელმძღვანელებდნენ წარმოდგენილი დოკუმენტებით. ხოლო დაწესებულებამ ვიზიტის ბოლო დღეს წარმოადგინა იმავე დასახელების სამი სილაბუსი ახალი რედაქციით, რომელშიც ყველა პუნქტის შინაარსი უცვლელად იქნა დატოვებული და დამატებული ჰქონდა ლიტერატურა არასრულად და შეუსაბამოდ (კურსების: მეტყველების კულტურა, მართლწერა და სტუმარ-მასპინძლობა - ერთსა და იმავე ლიტერატურას მოიცავდა). პროგრამაში მითითებული დანარჩენი სასწავლო კურსების სილაბუსები დაწესებულებას არ წარმოუდევენია.

სახეზეა ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევა, კერძოდ მე-6 მუხლის „ა“ პუნქტი.
2. კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის პროფესიული პროგრამა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრულია დასახელება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზანი, მოცულობა კრედიტებში და საათებში. სწავლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.

აღსანიშნავია შემდეგი:

2.1. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, თუმცა შეფასების სისტემა ზოგადია, როგორც პროგრამის აღწერილობით ნაწილში, ასევე - სილაბუსებში და ვერ იძლევა კრიტერიუმების დაკონკრეტების საშუალებას. კერძოდ, ვერ ირკვევა შეფასების 100 ქულა რომელ სავალდებულო კომპონენტებს რა თანაფარდობით უნდა მოიცავდეს.. საგანმანათლებლო პროგრამები არ არის წარმოდგენილი სრული ფორმით, არ ახლავს ყველა კურსის სილაბუსი (მაგ. პროგრამაში მითითებული 9 სასწავლო კურსიდან წარმოდგენილი იქნა: 1. კომპიუტერული ქსელები; 2. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები - 2 განსხვავებული რედაქციით; 3. ინგლისურის ენა - ორი განსხვავებული რედაქციით. 4. სილაბუსი, რომელსაც არ აქვს მითითებული სახელწოდება, შესაბამისად, ვერ დგინდება, რომელი საგნის სილაბუსია. უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსებში მითითებული მასწავლებლები: თეა კუპრაძე; ჯულიანა ხალხატიანი; ნანა სულუხია არ წარმოადგენენ დაწესებულების მასწავლებლებს, შესაბისად, ვერ დგინდება დასტურდება პროგრამის თანმიმდევრობა, რადგან პროგრამის სწავლის შედეგები უნდა გამომდინარეობდეს ცალკეული კურსების სწავლის შედეგებიდან. ვინაიდან სილაბუსი

66807

პროგრამის განუყოფელი ნაწილია, სავარაუდოა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცების მომენტში არ იყო წარმოდგენილი დასრულებული ფორმით.

2.2. პროგრამაში მითითებულია, რომ 70 კრედიტი 60% (42 კრედიტი) ეთმობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას, თუმცა აღნიშნული კრედიტების რაოდენობა დარღვეულია პროგრამის სასწავლო გეგმით, სადაც სასწავლო პრაქტიკას - 27 კრედიტი, ხოლო საწარმოოს - 16 კრედიტი აქვს დათმობილი, რაც ჯამში ტოლია 43 კრედიტისა, ნაცვლად 42 კრედიტის.

შენიშვნა: დარღვეულია: ავტორიზაციის დებულების სტანდარტი, კერძოდ, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების, მათი მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ, თუმცა მასში მოცემულია ინფორმაცია იმ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ „მიმღები რეცეფციონისტი“, რომელიც არც ბრძანებითაა დამტკიცებული და არც თვითშეფასების კითხვარში წარმოდგენილი, შესაბამისად, გაუგებარია კატალოგში ამ ინფორმაციის არსებობა. თვითშეფასების კითხვარში ასევე აღნიშნულია, რომ კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე, თუმცა რეალურად აღნიშნული ფაქტი არ დასტურდება.

შენიშვნა: დარღვეულია: ავტორიზაციის დებულების მუხლი 6.ბ - დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ, რადგან ამ დოკუმენტში შეტანილია არასწორი ინფორმაცია.

4. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების აღწერილობა შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს, თუმცა სწავლის შედეგები არ არის ლოგიკურად ასახული სწავლის შედგების რუკაში, თითოეულ სასწავლო კურსთან მიმართებით და სასწავლო სილაბუსების სრული პაკეტების არარსებობის გამო, ვერ დგინდება მათ მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების ლოგიკური ბმა პროგრამის აღწერილობით ნაწილთან.

5. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დირექტორის 2013 წლის 13 სექტემბრის ბრძანება 14/2013-ით დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების წესები.

აღსანიშნავია:

1.1. მუხლის 3.სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა:

აღნინიშნული მუხლის 3.1.4. პუნქტის თანახმად: პროფესიულ სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი შუალედურ/დასკვნით შეფასებაში 51%-ანი ბარიერის ვერ გადალახვის შემთხვევაში. აღნიშნული ჩანაწერი არ შეესაბამება ბრძანება 121/ნ-ს, რომლის თანახმადაც, არსებობს სტუდენტის ორი სახის უარყოფითი შეფასება, კერძოდ:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მოცემული შინაარსიდან გამომდინარე დაწესებულების მიერ სტუდენტისათვის სტატუსის ზემოთ განხილული საფუძვლით შეწყვეტა არ შეესაბმება მოცემული ბრძანების შინაარსს და წარმოადგენს ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევას (მ.6.კ.დ).

1.2. აღნიშნული წესის (3.1.8.; 3.1.10; 3.2; 4.2; 8.1; 9.1.10.1.) პუნქტები არ შეესაბამება კანონმდებლობასა და არ არის ორიენტირებული პროფესიული სტუდენტის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებზე შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების რეალიზებას.

სახეზეა ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევა (მ.6.კ.დ).

6. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც გაწერლია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესში.

აღნიშნული წესის 11.2 და 11.3 პუნქტების შინაარსი ერთმანეთს ეწინააღმდეგია და სრულფასოვნად ვერ ასახავს თანმიმდევრულ დინამიკას, როგორ ხდება დაწესებულების უზრუნველყოფა.

სახეზეა ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევა (მ.6.კ.ე).

7. დაწესებულების მიერ შემუშავებულ არც ერთ დოკუმენტში გაწერილი არ არის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც გამოიყენებდა სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, თუმცა ამ მიზნისათვის კოლეჯს შემუშავებული და ბრძანებით დამტკიცებული აქვს რამდენიმე კითხვარი (დამსაქმებლის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის, თანამშრომლების გამოვითხვის), მაგრამ რა პრინციპით გამოიყენება ისინი ხარისხის უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად, გაწერილი არ არის.

შენიშვნა დარღვეულია: ავტორიზაციის დებულების მუხლი 6.3 - დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 გათბობის საშუალებები ამჟამად დამონტაჟებული არ არის, თუმცა შეძენილია და დასაწყობებულია ცენტრალური გათბობის მასალები - საქვაბე, მილები, ბატარეები და სხვა. გაფორმებულია ხელშეკრულება ბუნებრივი აირის შემოყვანაზე.

2.2 დაწესებულების მიერ პროგრამების სილაბუსები არ იქნა სრულყოფილად წარმოდგენლი, შესაბამისად, ვერ იქნა უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკაში არსებული ფონდის სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურასთან თავსებადობის დადგენა. გადამოწმდა და დადასტურდა სამ-სამი დასახელების ლიტერატურის არსებობა ორივე

პროგრამაზე წარმოდგენილი სილაბუსების შესაბამისად. ბიბლიოთეკაში იყო რუსულენოვანი ლიტერატურა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო კურსი რუსული ენა, რომელიც სასტუმრო საქმის მწარმოებლის პროგრამის სასწავლო კურსად არის მითითებული, არ იქნა წარმოდგენილი და ვერ მოხდა აღნიშნული ლიტერატურის შესაბამისობის დადგენა სილაბუსით გათვალისწინებულ ლიტერატურასთან.

2.3 ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების მონაცემები ჩამოწერილია თაბახის ფურცლებზე, სხვა სახის კატალოგი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება საბიბლიოთეკო ფონდის აღწერა და მოძიება, ფაქტობრივი მდგომარეობით, არ დადასტურდა.

სახეზეა ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევა (მ.7.3.გ).

2.4 დაწესებულებაში არსებობს საქმისწარმოების ინსტრუქცია, თუმცა რეალური საქმისწარმოება აღნიშნული ინსტრუქციის დარღვევით მიმდინარეობს, კერძოდ, დაწესებულებაში მხოლოდ შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა ხდება, ხოლო ბრძანებებისა და სხვა აქტებისა - არა. დაწესებულების მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი სავალდებულოდ ხდის ბრძანებების რეგისტრაციას, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ დაწესებულება არღვევს ვალდებულებას. გარდა ამისა, გამოვლინდა ერთი და იმავე შინაარსის ბრძანება, ორი განსხვავებული ნომრითა და თარიღით, ასევე ბრძანება, რომელსაც ნომერი საერთოდ არ აქვს მინიჭებული.

მნიშვნელოვანია, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პრაქტიკის ობიექტთან (სასტუმრო ვეჯინთან) გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც დაწესებულების სატიტულო ფურცელზე შესრულებული. სასტუმრო ვეჯინის წარმომადგენლის ხელმოწერა (ლ. ჩიქოვანი) არ არის დადასტურებული ბეჭდით. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურდიული პირთა რეესტრიდან არ დგინდება სასტუმრო „ვეჯინის“ სახელწოდების იურდიული პირის არსებობა. რეესტრში არის მონაცემები: შპს - გრანდ ვეჯინის შესახებ (ფუნქციონირებს რუსთავში სასტუმროს სახით), რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. რუსთავი, VIII მ/რ, N11, მიმდებარე ტერიტორია; საიდენტიფიკაციო კოდი: 416296190; ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები 35001013018, ზურაბ ბერიძე.

2.5 დაწესებულების დებულების მე-5 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, პარტნიორთა კრება ამტკიცებს კოლეჯის შინაგანაწესს, თუმცა წარმოდგენილი მასალებით შინაგანაწესი დამტკიცებულია დირექტორის და არა პარტნიორთა კრების მიერ.

სახეზეა ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევა (მ.7.3.ე).

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 ექთნის პირად საქმეში არ აღმოჩნდა მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

3.2 ვებგვერდი არ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ინფორმაციაში ჩვენს შესახებ და სიახლეები - განთავსებულია სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (Emis) ინფორმაცია, ვებგვერდი გადამოწმდა ვიზიტის ორივე დღეს. ვებგვერდზე არაა ინფორმაცია დაწესებულების სტრუქტურის, პერსონალის შესახებ, ასევე, საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი (წესდება, შინაგანაწესი, დებულება) დოკუმენტაცია.

დაწესებულების პერსონალის პოზიციების სამუშაო აღწერილობები (უფლება-მოვალეობები) არ არის გაწერილი არც ერთი დოკუმენტით, შესაბამისად, პირადი საქმეების გაცნობისას სრულფასოვნად ვერ დადგინდა კვალიფიკაციის შესაბამისობა პერსონალის მიერ განსახორციელებელ სამუშაოსთან მიმართებით.

642-7

სახეზეა ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევა (მ.8.პ.ა).

3.3 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დირექტორის ბრძანება პედაგოგების დანიშვნის შესახებ, რომლის შესაბამისად, დაწესებულებას ჰყავს 6 (ექვსი) პედაგოგი ბრძანებაში მითითებული სასწავლო კურსების განსახორცილებლად. პროფესიული პროგრამების უზრუნველყოფას მხოლოდ აღნიშნული პედაგოგების მეშვეობით, დაწესებულება ვერ შეძლებს. ექსპერთა ჯგუფის მიერ ვერ განხორციელდა სასტუმრო საქმის მწარმოებლის პროგრამის პრაქტიკის განმახორციელებელი პედაგოგის იდენტიფიკაცია წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და დაწესებულების წარმომადგენლებთან პირადი ინტერვიურებით, შესაბამისად ვერ იქნა უზრუნველყოფილი პროფესიული სტანდარტის მოთხოვნასთან (მინიმუმ 5 წლიანი მენეჯერად მუშაობის გამოცდილება დიდ სასტუმროში) პროგრამის შესაბამისობის გადამოწმება.

სახეზეა ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევა (მ.8.პ.ბ).

3.4 პროფესიული განათლების მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები დაწესებულების მიერ არ არის გაფორმებული, ასევე არ არის კონკრეტული რეგულაცია, რომლითაც განსაზღვრული იქნა მასწავლებლების შერჩევისა და პოზიციებზე დანიშვნის პროცედურები.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა კითხვით მიმართა საბჭოს, როდესაც ერთი პროგრამა აკმაყოფილებდა სტანდარტებს და მეორე - არა, ამ შემთხვევაში საბჭო იმსჯელებდა თუ არა მხოლოდ ერთი პროგრამის პირობებში ავტორიზაციის მინიჭებაზე.

საბჭოს წევრების განცხადებით, როდესაც საქმე ეხებოდა საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებას, მხედველობაში მიიღებოდა ყველა პროგრამა და მათ მიმართ არსებული ხარვეზები. შესაბამისად, თუ ერთი პროგრამა არ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტებს, ის იყო საფუძვლი ავტორიზაციაზე უარის თქმის.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, თუ იყო შესაძლებელი ხარვეზების გამოსასწორებლად ვადა განესაზღვრა საბჭოს, რაზეც საბჭოს წევრებმა განუმარტეს, რომ მსგავსი შესაძლებლობა არსებობდა, მოქმედი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ მონიტორინგის პორცედურის განხორციელებისას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტთა დასკვნაში იყო უმარავი გრამატიკული შეცდომა და დაინტერესდა, აღნიშნულზე ვრცელდებოდა თუ არა ავტორიზაციის სტანდარტები.

ექსპერტის, ეკა ლუაშვილის, განცხადებით, ვინაიდან მცირე დრო იყო საბჭოს სხდომასა და ვიზიტს შორის, ამით აიხსნებოდა დასკვნის ენობრივი გაუმართაობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ავტორიზაციაში ფულს როდესაც ავტორიზაციაში ფულს იხდიდა, სურდა ჰქონდა გამართული დასკვნა. ამასთან დასძინა არ ჰქონდა დასკვნის შინაარსსა და ავტორიზაციის არმინიჭებაზე პრობლემა, მაგრამ უნდოდა საბჭოს სცოდნოდა, რომ მას დიდი თანხა ჰქონდა ჩადებული აღნიშნულ შენობაში, რათა განეხორციელებინა საგანმანათლებლო საქმიანობა.

დასკვნაში დაფიქსირებულ ტექნიკურ ხარვეზებზე დაწესებულების წარმომადგენელსა და ექსპერტს შორის გაიმართა კამათი.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა პროფესიული დაწესებულების წარმომადგენელს, სურდა თუ არა დეტალურად განხილათ ყველა შენიშვნა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრინციპულად აღარ აპირებდა განხილვას, მთლიანად ეთანხმებოდა დასკვნაში მითითებულ შენიშვნებს, თუმცა ენობრივ შეცდომებს ვერ პატიობდა.

საბჭოს წევრების განცხადებით, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მთავარი იყო დასკვნის შინაარსი და კვლავ დააზუსტა, იღებდა თუ არა ზემოაღნიშნულ შენიშვნებს დაწესებულება, რაზეც ამ უკანასკნელმა თანხმობა განაცხადა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ ევროპის პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის პროფესიულ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 216453950) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვა დასრულდა 18:33 საათზე.

ხათუნა ჩხაიძე
თავმჯდომარე

ლიანა ზამბახიძე
მდივანი